განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
ბიზნესის ადმინისტრირების
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი

შეფასების თარიღ (ებ)ი 7 ოქტომბერი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 2 ნოემბერი 2020

თბილისი 2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204379083 |
| დაწესებულების სახე | კოლეჯი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | საბაკალავრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 (მენეჯმენტი და ადმინისტრირება) |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | რუსული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა გეგეშიძე / საქართველოს უნივერსიტეტი / საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნიკოლოზ ყაველაშვილი / ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი / საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ქარცივაძე / //სადაზღვეო კომპანია იმედი L/ საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ბურჯანაძე / ნეუ ვიჟენ უნივერსიტეტი/ საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს „უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის“, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, აკრედიტაციისთვის წარმოდგენელია პირველად. გლობალიზაციის პირობებში და საქართველოს მიმართ ტურისტების გაზრდილი ნაკადების კვალდაკვალ, აქტუალური გახდა საგანმანათლებლო ტურიზმიც. ამ სფეროს განვითარებისთვის კი მნიშვნელოვანია საქართველოში არსებობდეს სხვადასხვა ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ ფონზე აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი შპს „უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის“, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, მნიშვნელოვანია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის, როგორც გრძელვადიანი და საგანმანათლებლო ტურისტული სერვისის მიმწოდებელი პროგრამის.

შპს „უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის“, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მოცულობა 240 ECTS კრედიტია, რომელიც ითვალისწინებს წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტი (205 კრედიტი) შედგება საბაზისო სასწავლო კურსების (30 კრედიტი), სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების (160 კრედიტი) და სავალდებულო არჩევითი კურსებისაგან (15 კრედიტი).
ასევე, პროგრამაში შედის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (20 კრედიტი), რომელიც ორიენტირებულია სპეციალობის შეძენილი ცოდნის გაფართოებაზე სტუდენტის ინტერესების შესაბამისად, და თავისუფალი კომპონენტი (15 კრედიტი), რომელიც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ან შპს „უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმში“ მოქმედი საბაკალავრო პროგრამიდან. სასწავლო კურსების არჩევანის შეზღუდვას წარმოადგენს მხოლოდ სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები და შეთავაზების სემესტრი. თავისუფალი/არჩევითი კომპონენტები სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს დამატებით ცოდნას მისი ინტერესების შესაბამისად.
პროგრამის სავალდებულო ნაწილში შედის პროფესიული პრაქტიკა (15 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - შპს „უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის“ რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი გამართა 2020 წლის 7 ოქტომბერს, ონლაინ რეჟიმში „ZOOM.us“ პროგრამული უზრუნველყოფით, მიმდინარე COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო. პროგრამული მხარდაჭერა და პროცესის ინფორმაციული მართვა განხორციელდა „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის“ მიერ.
  - 2020 წლის 6 ოქტომბერს განხორციელდა აკრედიტაციის ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, ონლაინ რეჟიმში „ZOOM.us“-ის პროგრამული უზრუნველყოფით, სადაც ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პირველადი მიგნებების შესახებ. დღის განრიგის მიხედვით შეიმუშავეს კითხვები და მოინიშნეს დასაზუსტებელი საკითხები, რომელიც წარმოდგენელი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთებოდა.
  - აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 7 ოქტომბერს. 10:00-დან 19:00 საათამდე. საკრედიტაციო ონლაინ ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის პერიოდში იყო პროფესიული ურთიერთანამშრომლობითი და საქმიანი გარემო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ***მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან.*** შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

- პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, რადგან მისი ორივე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეორე სტანდარტი, ნაწილობრივ შესაბამისობაშია, რადგან მისი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შესაბამისობაშია; 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია; 2.3. სასწავლო კურსი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია; 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - სრულ შესაბამისობაშია; 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - მეტწილად შესაბამისობაშია; ხოლო 2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისია მოთხოვნებთან.
- მესამე სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეოთხე სტანდარტი - შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
- მეხუთე სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მისი 5.2 და 5.3. სტანდარტი შესაბამისობაშია, ხოლო 5.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების დახვეწა. კერძოდ, მნიშვნელოვანია მიზნები მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა.
  - მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგის („აცნობიერებს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის“) მისაღწევად პროგრამაში უნდა დაემატოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების და/ან მდგრადი ბიზნესგანვითარების კურსები, ან საკითხები თავად არსებულ კურსებში. სხვა შემთხვევაში აღნიშნული შედეგი პროგრამაში წარმოდგენილი კურსებით ვერ მიიღწევა. ასევე, ამ შედეგის გაზომვისათვის აუცილებელია, შესაბამის საკითხზე პროექტის მომზადება ანდა განხორციელება, შესაძლებელია გამოყენებული იქნას რთული კომპლექსური დავალება (სოლო ტაქსონომიის

მიხედვით) და ამასთანავე სასწავლო პროგრამაში უნდა იყოს საკითხი, UN მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ https://sdgsgeorgiablog.wordpress.com/.

- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს რუსული ენა და ეს ადეკვატურად აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში.
- საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა დასაკონკრეტებელია, ამიტომ რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები გარდა პროფესიული პრაქტიკისა. (პროფესიული პრაქტიკის მიზნებს თუ შევხედავთ არ შეესაბამება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობის აუცილებლობას);
- სასწავლო კურსები ბიზნესის საფუძვლები და მეწარმეობა ძალიან გავს შინაარსობრივად ერთმანეთს. ამასთანავე, მეწარმეობა ნაკლებად შეესაბამება საუკეთესო სამეწარმეო ევროპული პრაქტიკის სასწავლო კურსს. შესაბამისად, რეკომენდირებულია მეწარმეობის სასწავლო კურსის ჩანაცვლება;
- სასწავლო კურსები: „ბიზნესის საფუძვლები“, „მეწარმეობა“, „ფინანსების საფუძვლები“, „საგადსახადო საქმე“, „საჯარო ფინანსები“ და „ბიზნესის სამართალი“ არსებითად გადასახედია, რადგან მათში გამოყენებულ **სასწავლო მასალებში** ძირითადად რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მოწყობის საკითხებია ასახული, აუცილებელია ამ კურსებში ინტეგრირებული იყოს ქართული და მსოფლიო მიდგომები;
- რეკომენდირებულია, „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ფინანსების საფუძვლების ნაცვლად, რადგან ამ კურსის შესწავლისას სტუდენტი კარგად უნდა კითხულობდეს ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო ფინანსური აღრიცხვის წინაპირობად ბუღალტრული აღრიცხვის;
- რეკომენდირებულია პროექტების მართვის წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტის ნაცვლად.
- საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელმა და კურსების ავტორებმა კარგად შეისწავლონ რუსულენოვან ბაზარზე არსებული მსოფლიო სასწავლო ლიტერატურის თარგმანები და მოახდინონ მათი გამოყენება სასაწავლო კურსებში;
- სწავლა-სწავლების მეთოდების კურსების შინაარსთან შესაბამისობის უკეთ გამოსაკვეთათ, საჭიროა სილაბუსებში გამოყოფილი იქნას ცალ-ცალკე სწავლა-

სწავლების მეთოდები და აქტივობები, რადგან სტანდარტის მოთხოვნაა კურსების შინაარსზე სწავლა-სწავლების მეთოდების მორგება;

- უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს სტუდენტებისგან წარმომადგენლობითი უკუკავშირის მიღება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - კარგი იქნება თუ, მოხდება სამიზნე ნიშნულებზე დაკვირვება და მისი მიზანმიმართული მოდიფიცირება;
  - სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტთან მოახდინოს უფრო მეტი კომუნიკაცია იმაზე თუ, რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს;
  - კარგი იქნება თუ, მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობად განისაზღვრება მიკროეკონომიკა;
  - სასურველია, ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მაკროეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვის ნაცვლად;
  - თანამედროვე მიდგომებით მეწარმეობის კურსის სწავლებისთვის სასურველია გათვალისწინებული იქნას ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩო, ბმული https://ec.europa.eu/jrc/en/publication/eur-scientific-and-technical-research-reports/entrecomp-entrepreneurship-competence-framework .
  - სასურველია უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ დეტალურად ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი სააპელაციო კომისიის შემდგომი რეაგირების მექანიზმები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. ## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მოთხოვნების შესაბამისად აქვს ჩამოყალიბებული მიზნები.<br>პროგრამის მიზნები მიმართულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საფეხურის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამისი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მომზადებისკენ.<br>პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს, უსდ-ს ჩატარებული აქვს დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელიც ადასტურებს წარმოდგენილი პროგრამის საჭიროებას. წარმოდგენილი ბაზრის კვლევა ძირითადად მეორადი ინფორმაციის, ანუ არსებული მონაცემების განზოგადებას და ანალიზს ეფუძნება. ბაზრის ანალიზი ეფუძნება რუსულენოვან პროგრამებზე აბიტურიენტების მოთხოვნას და საქართველოს უსდ-ების მიერ გამოცხადებული ადგილების ანალიზს, ანუ მოთხოვნა მიწოდების ანალიზს, ასევე, დასაქმების ვებ-გვერდებზე გამოცხადებული ვაკანსიებს ანალიზს. კვლევაში გაანალიზებულია უცხოელი სტუდენტების რაოდენობა და წარმოშობის ქვეყნის დინამიკა საქართველოში. ამასთანავე, პოტენციური სტუდენტების წარმოშობის ქვეყანასა და საქართველოში სწავლების საფასურის კონკურენტიანობა. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიწოდებით უზრუნველყოფილი იქნება მოთხოვნა მიწოდების დეფიციტის შევსება, რაც საშუალებას მისცემს რუსულენოვან საქართველოს აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთის და რუსეთის მოქალაქეებს, მიიღონ ბაკალავრის ხარისხი საქართველოში. მომზადებული კადრები შეძლებენ ადვილად იპოვონ სამუშაო ადგილები, რადგან მათ დამსაქმებლებს აქვთ რუსულენოვანი კადრების დეფიციტი, რომელიც გამოიკვეთა შეფასების ჯგუფთან და საქართველოს დამსაქმებლებთან ინტერვიუების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის „მთლიანი გამოშვების“ და მის |

კვალდაკვალ „მთლიანი შიდა პროდუქტის“ ზრდას. ყოველივე ამით პროგრამა წვლილს შეიტანს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

უსდ-ში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

პროგრამის მიზნები #2 და #3 შინაარსიდან გამომდინარე უფრო შეესაბამება პროგრამის შედეგებს. ამიტომ, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების დახვეწა. კერძოდ, მნიშვნელოვანია მიზნები მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა.

თუმცა, მიზნები მეტნაკლებად მიღწევადია და ამასთანავე თანხვედრაშია შედეგებთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმას 2020-2026.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან;
- www.millennium.edu.ge .

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების დახვეწა. კერძოდ, მნიშვნელოვანია მიზნები მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას აქვს 8 შედეგი, რომლებშიც კონკრეტულად აღწერილია ის კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ გამოიმუშავებს. შედეგებში გამიჯნულია ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის, და ავტონომიურობის დონეები. პროგრამის სწავლის შედგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან.

პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოდგენილია "ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა", რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს.

პროგრამაში წარმოდგენილია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა , რომლებიც მეტწილად ლოგიკური და თანმიმდევრულია. თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პროგრამის შედეგი #2 „აცნობიერებს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის." აღნიშნული, შედეგების სასწავლო კურსებთან კავშირის მატრიცაში, საკითხების მიხედვით კარგად არ დასტურდება, რადგან გაცნობიერება ეს არის ცოდნის საფუძველზე ფაქტების არსის გადატანის უნარი საქმეში. გაცნობიერებული ადამიანები ახდენენ ინფორმაციიდან აზრის გამოტანას. მათ შესწევთ დაინახონ გამჭოლად ფაქტები, დინამიკაში „რა" „როგორ" და „რატომ". გაცნობიერება ყურადღებას აქცევს ფაქტებს და განაპირობებს მოსაზრების ჩამოყალიბებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგის („აცნობიერებს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის") მისაღწევად პროგრამაში დაემატოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების და/ან მდგრადი

ბიზნესგანვითარების კურსები, ან საკითხები თავად არსებულ კურსებში. სხვა შემთხვევაში აღნიშნული შედეგი პროგრამაში წარმოდგენილი კურსებით ვერ მიიღწევა. ასევე, ამ შედეგის გაზომვისათვის აუცილებელია, შესაბამის საკითხზე პროექტის მომზადება ანდა განხორციელება, შესაძლებელია გამოყენებული იქნას რთული კომპლექსური დავალება (სოლო ტაქსონომიის მიხედვით) და ამასთანავე სასწავლო პროგრამაში უნდა იყოს საკითხი, UN მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ https://sdgsgeorgiablog.wordpress.com/.

პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება უსდ-ს დაგეგმილი აქვს შეფასების სხვადასხვა ინდიკატორის გამოყენებით. პირდაპირი მეთოდით შეფასების ინდიკატორის სახით იყენებს ე.წ. შეწონილი შეფასებას, რომლის გამოთვლა და გამოყენება ხორციელდება მილენიუმის „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით" (შემდგომში - შეფასების მექანიზმი) განსაზღვრული წესის შესაბამისად. ამის პრაქტიკაში ფუნქციონერების შეფასება არ მოხდა, რადგან პროგრამა გადის პირველად აკრედიტაციას. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განხორციელდება არაპირდაპირი შეფასება (სტუდენტების, პერსონალის, პრაქტიკის პროცესში ჩართული პირების, დამსაქმებლების გამოკითხვა, ინტერვიუ შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და სხვ.). დოკუმენტაციაში წარმოდგენილია „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა", სადაც გაწერილია სამიზნე ნიშნულები, რომელიც ყველა სასწავლო კურსთან მიმართებაში ერთნაირად არის გადანაწილებული: (A) – 5%; (B) – 25%; (C) – 28%; (D) – 20%; (E) – 15%; და (FX)- 2%. კარგი იქნება თუ, მოხდება სამიზნე ნიშნულებზე დაკვირვება და მისი მიზანმიმართული მოდიფიცირება. რადგან სამიზნე ნიშნულები ყველა საგანთან მიმართებაში ვერ იქნება ერთნაირი.

შეფასების პროცესი უზრუნველყოფს უკუკავშირს სასწავლო კურსებსა და პროგრამის განვითარებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, რომელიც აღწერილია დოკუმენტებში „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები" და „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა". ასევე, პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ დაგეგმილია შეფასების შედეგების გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი

პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში“ აღწერილია, რომ იქმნება პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელშიც ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, ვიცე-რექტორი, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის თვითშეფასებაში დეკლარირებულია, რომ შეფასების ციკლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას, სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. შეფასების შედეგების საფუძველზე დაგეგმილია ფაკულტეტის ფარგლებში განხილვის მოწყობა, სადაც გამოიკვეთება გასაუმჯობესებელი საკითხები დადგინდება გაუმჯობესების მეთოდები და პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება, რის საფუძველზეც მომზადდება შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების მექანიზმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ანგარიში გადაეგზავნება ფაკულტეტის დეკანს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სათანადო რეაგირებისათვის.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან;
- www.millennium.edu.ge .

**რეკომენდაციები:**

- მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგის („აცნობიერებს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის“) მისაღწევად პროგრამაში დაემატოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების და/ან მდგრადი ბიზნესგანვითარების კურსები, ან საკითხები თავად არსებულ კურსებში. სხვა შემთხვევაში აღნიშნული შედეგი პროგრამაში წარმოდგენილი კურსებით ვერ

| |
|---|
| მიიღწევა. ასევე, ამ შედეგის გაზომვისათვის აუცილებელია, შესაბამის საკითხზე პროექტის მომზადება ანდა განხორციელება, შესაძლებელია გამოყენებული იქნას რთული კომპლექსური დავალება (სოლო ტაქსონომიის მიხედვით) და ამასთანავე სასწავლო პროგრამაში უნდა იყოს საკითხი, UN მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ https://sdgsgeorgiablog.wordpress.com/. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ კარგი იქნება თუ, მოხდება სამიზნე ნიშნულებზე დაკვირვება და მისი მიზანმიმართული მოდიფიცირება. სასურველია უნივერსიტეტმა მოახდინოს უფრო მეტი კომუნიკაცია იმაზე თუ, რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>➢ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | ➢ | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას გაწერილი აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე ირიცხება, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტაციის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას შპს უმაღლეს სასწავლებელში მილენიუმი. პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.<br><br>დაშვების წინაპირობებში წარმოდგენილ ჩარიცხვის საგნებში პროგრამაში წერია: პროგრამაზე ჩარიცხვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, ***უცხო ენა (ინგლისური),*** მათემატიკა/ისტორია. ხოლო თვითშეფასებაში წერია: პროგრამაზე ჩარიცხვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (რუსული), მათემატიკა/ისტორია. ასევე ორივე დოკუმენტში მითითებულია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატები ვალდებული არიან გაიარონ შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის მიერ ორგანიზებული გასაუბრება/ტესტირება ***პროგრამის სწავლების ენის (რუსული ენა) ცოდნის დადგენის მიზნით.***<br><br>ადგილზე ინტერვიურების პროცესში გაირკვა, რომ გაპარულია ტექნიკური ხარვეზი, მიუხედავად ამისა, თუ საქართველოს საჯარო სკოლების კურსდამთავრებული, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხება საერთო წესით, მას აღარ უნდა ქონდეს სწავლების შემდგომი ბარიერი საბაკალავრო საფეხურისთვის. აქედან გამომდინარე, გასაუბრება რუსული ენის ცოდნის დონის შემოწმებისთვის არარელევანტური მოთხოვნაა კანდიდატისთვის. შესაბამისად, უნდა გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი, ერთიან ეროვნულ |

| |
|---|
| გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნად აუცილებლად უნდა მოეთხოვოთ რუსული ენადა ასევე საჭიროების შემთხვევაში დაწესდეს მინიმალური ქულობრივი ზღვარი. თუმცა, პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, რადგან ამზადებენ საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტულ კადრს, შესაძლოა ინგლისური ენის ცოდნაც მიღებისთანავე იყოს პროგრამისთვის პრიორიტეტული. მაშინ, ერთიანი ეროვნული გამოცდებში უნდა მოხდეს, როგორც ინგლისური ენის ასევე რუსული ენის მოთხოვნა. თუმცა, ეს არ შეიძლება გაკეთდეს მათემატიკა/ისტორიის ხარჯზე, რადგან ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე მოხვედრისთვის აბიტურიენტმა უნდა დაადასტუროს სოციალური ან მათემატიკური მეცნირებათა კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭირვალეა, საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;<br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;<br>○ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>○ პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია;<br>○ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან;<br>○ www.millennium.edu.ge . |
| **რეკომენდაციები:**<br><br>➢ რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს რუსული ენა და ეს ადეკვატურად აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, რომელის შესრულება დაგეგმილია 4 წელიწადში, შესაბამისად წელიწადში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი. საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტი (205 კრედიტი), საბაზისო სასწავლო კურსებია (30 კრედიტი), სავალდებულო არჩევითი კურსები (15 კრედიტი), სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 160 კრედიტი, რომელიც მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი) და პროფესიული პრაქტიკა (15 კრედიტი). ასევე, პროგრამას აქვს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (20 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტი (15 კრედიტი).

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია მილენიუმის რექტორის მიერ დამტკიცებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტში შემავალი საგნები ლოგიკურად არის შერჩეული და სასწავლო კურსების თვალსაზრისით კარგადაა გააზრებული, თუმცა არსებობს რიგი საკითხები, რომელზეც საჭიროა მუშაობა.

- საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა დასაკონკრეტებელია, ამიტომ რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები, გარდა პროფესიული პრაქტიკისა. (* პროფესიული პრაქტიკის მიზნებს თუ შევხედავთ არ შეესაბამება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობის აუცილებლობას);

- რეკომენდირებულია, „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების" წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ფინანსების საფუძვლების ნაცვლად, რადგან ამ კურსის შესწავლისას სტუდენტი კარგად უნდა კითხულობდეს ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო ფინანსური აღრიცხვის წინაპირობა უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვა;
- რეკომენდირებულია პროექტების მართვის წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტის ნაცვლად;
- სასწავლო კურსები ბიზნესის საფუძვლები და მეწარმეობა ძალიან გავს შინაარსობრივად ერთმანეთს. ამასთანავე, მეწარმეობა ნაკლებად შეესაბამება საუკეთესო სამეწარმეო ევროპული პრაქტიკის სასწავლო კურსს. შესაბამისად, რეკომენდირებულია მეწარმეობის სასწავლო კურსის ჩანაცვლება;
- სასწავლო კურსები: „ბიზნესის საფუძვლები", „მეწარმეობა", „ფინანსების საფუძვლები", „საგადსახადო საქმე", „საჯარო ფინანსები" და „ბიზნესის სამართალი" არსებითად გადასახედია, რადგან მათში გამოყენებულ სასწავლო მასალებში ძირითადად რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მოწყობის საკითხებია ასახული, აუცილებელია ამ კურსებში ინტეგრირებული იყოს ქართული და მსოფლიო მიდგომები.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსი „ფინანსები" განხილულია მაკროეკონმიკური კონტექსტიდან, მისი პირველი ნაწილს ჰქვია ФИНАНСЫ В СИСТЕМЕ „ ЭКОНОМИЧЕСКИХ ОТНОШЕНИИ" ასევე მასში შესული საკითხებია, ფინანსების ცნება სოციალურ-ეკონოიკური არსი და ფუნქციები, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფინანსური რეგულირება, ფინანსერი რესურსების ფორმირების წყაროები, ქვეყნის და წამყვანი უცხო ქვეყნებინის თანამედროვე ფინანსური სისტემა, საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა, სახელმწიფო ფინანსები და სხვ. ასევე საასწავლო კურსში „მმართველობითი აღრიცხვა" მოიცავს როგორც დანახარჯთა მართვის საკითხებს ასევე, მიკროეკონომიკურ მოდელს „წარმოებაზე მოგების დამოკიდებულების ანალიზი" ანუ

| |
|---|
| იგივე ე.წ. „CVP" ანალიზის საკითებს. ამიტომ კარგი იქნება თუ სტუდენტებს ამ ორი საგნის გავლამდე ექნებათ ეკონომიკური ანალიზის მთავარი საფუძვლის, ეკონომიკური მოდელირების არსის და „ceteris paribus - სხვა თანაბარ პირობებში" კონცეფციის აღქმა.<br>• სასურველია, ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მაკროეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვის ნაცვლად;<br>• კარგი იქნება თუ მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობად განისაზღვრება მიკროეკონომიკა.<br>აღნიშნულიდან გამომდინარე შინაარსი და სტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელი კვალიფიკაციაც ნაწილობრივ შესაბამისია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია;<br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ სასწავლო გეგმა და შედეგების რუკა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან;<br>○ www.millennium.edu.ge . |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა დასაკონკრეტებელია, ამიტომ რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები, გარდა პროფესიული პრაქტიკისა. (პროფესიული პრაქტიკის მიზნებს თუ შევხედავთ არ შეესაბამება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობის აუცილებლობას);<br>➢ რეკომენდირებულია, „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების" წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ფინანსების საფუძვლების ნაცვლად, რადგან ამ კურსის შესწავლისას სტუდენტი კარგად უნდა კითხულობდეს ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო ფინანსური აღრიცხვის წინაპირობად ბუღალტრული აღრიცხვის;<br>➢ სასწავლო კურსები ბიზნესის საფუძვლები და მეწარმეობა ძალიან გავს შინაარსობრივად ერთმანეთს. ამასთანავე, მეწარმეობა ნაკლებად შეესაბამება საუკეთესო სამეწარმეო ევროპული პრაქტიკის სასწავლო კურსს. შესაბამისად, რეკომენდირებულია მეწარმეობის სასწავლო კურსის ჩანაცვლება;<br>➢ სასწავლო კურსები: „ბიზნესის საფუძვლები", „მეწარმეობა", „ფინანსების საფუძვლები", „საგადსახადო საქმე", „საჯარო ფინანსები" და „ბიზნესის სამართალი" არსებითად გადასახედია, რადგან მათში გამოყენებულ სასწავლო |

მასალებში ძირითადად რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მოწყობის საკითხებია ასახული, აუცილებელია ამ კურსებში ინტეგრირებული იყოს ქართული და მსოფლიო მიდგომები;

- რეკომენდირებულია პროექტების მართვის წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტის ნაცვლად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კარგი იქნება თუ მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობად განისაზღვრება მიკროეკონომიკა;
- სასურველია, ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მაკროეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვის ნაცვლად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის, რუსულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ორიენტირებულია

სტუდენტის მიერ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსების შედეგების, პროგრამის შედეგების რუკისა და სილაბუსების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტნაკლებად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა სწავლის შედეგის „აცნობიერებს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის, მიღება ბუნდოვანია წარმოდგენილი კურსებით და მათი შინაარსით, ამის მისაღწევად პროგრამაში უნდა დაემატოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების და/ან მდგრადი ბიზნეს განვითარების კურს(ებ)ი ან საკითები თავად არსებულ კურსებში. სხვა შემთხვევაში აღნიშნული შედეგი პროგრამაში წარმოდგენილი კურსებით ვერ მიიღწევა.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისათვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თუმცა, ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში ნაწილობრივ შესაბამისობაშია ამ კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, რადგან სასწავლო კურსებში: საერთაშორისო ბიზნესი, მაკროეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვა, ბიზნეს სამართალი, საერთაშორისო ბიზნესი, პროექტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, მომხმარებელთა ქცევა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რისკის შეფასება და აუდიტის საფუძვლებში, მხოლოდ ძირითად ლიტერატურას თუ მივიღებთ მხედველობაში, მისანიჭებელი კრედიტები და სასწავლო მასალა არ შეესაბამება ერთმანეთს, რადგან ყველა საგანი 5 კრედიტიანია, რომელიც ითვალისწინებს სწავლა-სწავლების 125 საათს. კერძოდ სასწავლო მასალა ამ კურსებზე დაახლოებით არის A5 ფორმატის 120 გვერდს, რომლის ერთი გვერდის წაკითხვის სტანდარტია 1 წუთი, ხოლო ტექნიკური ლიტერატურის შემთხვევაში მაქსიმუმ 3 წუთი, თუ ამ მაჩვენებელს გადავამრავლებთ საშუალოდ 3 წაკითხვაზე ეს არის 3X120X3, რაც არის მაქსიმუმ 18 საათი. ამიტომ, საჭიროა გადაიხედოს სილაბუსები, დამატებითი ლიტერატურიდან გადმოვიდეს ან/და ძირითად ლიტერატურაში დაემატოს სასწავლო მასალა.

სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო

კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას.

სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, მეწარმეობა, ფინანსების საფუძვლები, საგადსახადო საქმე, საჯარო ფინანსები და ბიზნესის სამართალი არსებითად გადასახედია, რადგან მათში გამოყენებულ სასწავლო ლიტერატურაში ძირითადად რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მოწყობის საკითხებია ასახული, აუცილებელია ამ კურსებში ინტეგრირებული იყოს ქართული და მსოფლიო მიდგომები.

მეწარმეობის სასწავლო კურსი უფრო შეესაბამება საწარმოთა მართვის ანდა ბიზნესის მართვის კურსის შინაარსს, ხოლო თანამედროვე მიდგომებით მსგავსი კურსის ფორმირებისას სასურველია გათვალისწინებული იქნას ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩო, ბმული https://ec.europa.eu/jrc/en/publication/eur-scientific-and-technical-research-reports/entrecomp-entrepreneurship-competence-framework .

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მეტ-ნაკლებად შეესაბამება ბიზნესის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას. თუმცა, საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელმა და კურსების ავტორებმა კარგად შეისწავლონ რუსულენოვან ბაზარზე არსებული მსოფლიო სასწავლო ლიტერატურის თარგმანები და მოახდინონ მათი გამოყენება სასაწავლო კურსებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემული კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო გეგმა და შედეგების რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან;
- www.millennium.edu.ge .

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსებში ბიზნესის საფუძვლები, მეწარმეობა, ფინანსების საფუძვლები, საგადსახადო საქმე, საჯარო ფინანსები და ბიზნესის სამართალი

არსებითად გადასახედია, რადგან მათში გამოყენებულ სასწავლო კურსებში ძირითადად რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მოწყობის საკითხებია ასახული, აუცილებელია ამ კურსებში ინტეგრირებული იყოს ქართული და მსოფლიო მიდგომები;

- საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელმა და კურსების ავტორებმა კარგად შეისწავლონ რუსულენოვან ბაზარზე არსებული მსოფლიო სასწავლო ლიტერატურის თარგმანები და მოახდინონ მათი გამოყენება სასაწავლო კურსებში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- თანამედროვე მიდგომებით მეწარმეობის კურსის სწავლებისთვის, სასურველია გათვალისწინებული იქნას ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩო, ბმული https://ec.europa.eu/jrc/en/publication/eur-scientific-and-technical-research-reports/entrecomp-entrepreneurship-competence-framework .

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

